# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (9.755)

29 ოქტომბერი-5 ნოემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ბიზნესის ხელშეწყობისთვის ახალი პროგრამა „სტარტაპ მეგობრული“ დაიწყო

გვ.2

## პირველმა თოვლმა პრობლემები შექმნა



გვ.2



გვ.5

## უცხოელები ფიროსმანის ნახატებთან მუხლს იყრიან და პირჯვარს იწერენ!

## ბოგონა, რომელიც სამყაროს ორჯერ მოევლინა

გვ.7



## გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტიდან საგარანტიო წერილი აღარ დასჭირდება

გვ.3



გვ.4

## თუ თქვენ წლებია ელოდებით შვილს



## „დედა ენის“ მშობელი

გვ.8

# გიორგი კვირიკაშვილი – მმართველობის რეფორმა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საქართველოს დემოკრატიის განვითარების კუთხით

ევროკავშირი საქართველოს მთავრობას საჯარო მმართველობის რეფორმისთვის 30 მილიონი ევროთი დაეხმარება, რაც ძალიან დიდი მხარდაჭერაა ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და პარტნიორების მხრიდან, - ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ევროკავშირი ერთ-ერთი უდიდესი დონორია, რომელიც უკვე მრავალი წელია აქტიურად ეხმარება საქართველოს დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საქმეში.

”მოხარული ვარ, გაგაცნოთ სასიხარულო და მნიშვნელოვანი სიახლე. დასრულდა ხელშეკრულების გაფორმება ევროკავშირის მიერ საქართველოს მთავრობისთვის 30 მილიონი ევროს ღირებულების დახმარების გამოყოფის თაობაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საჯარო მმართველობის რეფორმას მოხმარდება. ეს გახლავთ ძალიან დიდი მხარდაჭერა ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და პარტნიორების მხრიდან. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ევროკავშირის წარმომადგენლობას, პირადად ბატონ ელჩს, გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. ევროკავშირი ერთ-ერთი უდიდესი დონორია, რომელიც უკვე მრავალი წელია აქტიურად გვეხმარება ქვეყნის დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საქმეში. მრავალი წარმატებული რეფორმა საქართველოში სწორედ ევროკავშირის თანადგომის შედეგია. მხოლოდ 2011 წლიდან დღემდე, გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით, საქართველომ ევროკავშირისგან 450 მილიონზე მეტი ევრო მიიღო. ასევე, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნისათვის ამ მნიშვნელოვანი სფეროს რეფორმირებაში აქტიურად გვიჭერსმხარს, იქნება ეს საქართველოში მოქმედი დონორი და საერთაშორისო ორგანიზაცია თუ ჩვენი არასამთავრობო სექტორი”, - განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ რეფორმა რომლის განხორციელებასაც საქართველოს მთავრობა აპირებს, უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საქართველოში დემოკრატიის განვითარების, ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და ეკონომიკური წინსვლის კუთხით.

”დარწმუნებული ვარ, რომ რეფორმა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ საჯარო მმართველობის სფეროში, უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საქართველოში დემოკრატიის განვითარების, ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და ეკონომიკური წინსვლის კუთხით.

მმართველობის რეფორმა გახლავთ ჩვენი მთავრობის მიერ გამოცხადებული ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულება. ამავე დროს, საჯარო მმართველობის რეფორმა არის ჩვენ მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულება. საჯარო მმართველობის რეფორმა მიზნად ისახავს ეფექტიანი სახელმწიფო მართვის სისტემის შექმნას, საჯარო სამსახურისა და პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის მოდერნიზებასა და ამ სფეროში ევროპული გამოცდილების დანერგვას. ასევე, რეფორმის მიზანია, საჯარო ფინანსების მართვისა და ღია მმართველობის კუთხით, კიდევ უფრო მეტი წინსვლა და ჩვენს მოქალაქეებზე ორიენტირებული, თანამედროვე სახელმწიფო სერვისების განვითარება. ამ რეფორმის ფარგლებში ჩვენ უკვე შევძელით კონკრეტული და ხელშესახები შედეგების მიღწევა. შევიმუშავეთ ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ,რომელიც პარლამენტმა შარშან ოქტომბერში დაამტკიცა. ჩვენმა მთავრობამ დაამტკიცა პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც უკვე განხორციელების ფაზაშია. ჩვენ ვმუშაობთ შედეგზე ორიენტირებული მართვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემების შემუშავებაზე იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგია, ელექტრონული მმართველობა და სხვა მიმართულებები. სწორედ ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებას მოხმარდება ზემოაღნიშნული ფინანსური დახმარება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ თანადგომით,ჩვენ წარმატებით განვახორციელებთსაჯარო მმართველობის რეფორმირების მიმართულებით დასახულ მიზნებს”, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა საჯარო მმართველობის სფეროში კიდევ უფრო გააღრმავებს მჭიდრო ორმხრივ ურთიერთობებს და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის საქმეში.

# პირველმა თოვლმა პრობლემები შექმნა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნაადრევმა თოვლმა პრობლემები შექმნა. უხვმა ნალექმა ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩასა და სხვა უბნებზე ხეები დააზიანა. ამის გამო ელექტროენერგიის გარეშე დარჩა მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ადგილზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გამგეობის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ.

მობილიზებული იყო შესაბამისი დამხმარე ტექნიკა, მოხდა დაზიანებული ელექტროსადენების აღდგენა და გზების გაწმენდა თოვლისგან.

გამგეობის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები საგანგებო რეჟიმში მომავალშიც გააგრძელებენ მუშაობას.

# სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრებს ლაბორატორიული აღჭურვილობა გადაეცემათ

რეგიონებში განთავსებულ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს ლაბორატორიული აღჭურვილობა გადაეცემათ, რომლის საშუალებითაც ექსტენციის სპეციალისტები დაავადებების აღმოჩენას და ფერმერებისთვის კონსულტაციის გაწევას ადგილზე შეძლებენ.

აღნიშნულს ურთიერთგაგების მემორანდუმი ითვალისწინებს, რომელსაც ხელი სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ ხელმძღვანელმა, ბრაიანკინგმა მოაწერეს. მემორანდუმი სოფლის მეურნეობის ექსტენციის სახელმწიფო სერვისცენტრების (AICCs) ხელშეწყობის, ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით გაფორმდა.

„სოფლის მეურნეობის სამინისტრო USAID-თან უკვე წლებია წარმატებით თანამშრომლობს. შედეგად, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომელიც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას, ფერმერთა კონკურენტუნარიანობის ზრდას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. დღეს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, USAID-ი სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვან ტექნიკურ დახმარებას გაუწევს“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

როგორც USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ ხელმძღვანელმა, ბრაიან კინგმა აღნიშნა, ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებს შორის აქტიურ თანამშრომლობას.

„ზრდა“ ხუთწლიანი პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ექვსი რეგიონის 70 თემში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო საწარმოების და შიდა მეურნეობების განვითარებას, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას ადგილობრივი თემების გაძლიერების მიზნით, მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით.

მხარეები მემორანდუმით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას 2016 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყებენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და USAID-ის „ზრდა“ პროექტის თანამშრომლობა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხელშეწყობას, სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და სასოფლო-სამეურნეო უნარ-ჩვევების განვითარებას.

მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს და USAID-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ბიზნესის ხელშეწყობისთვის ახალი პროგრამა „სტარტაპ მეგობრული“ დაიწყო

საქართველოში ბიზნესის ხელშეწყობისთვის ახალი პროექტი „სტარტაპ მეგობრული“ დაიწყო, რომელი დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ გაგრძელებაა. „სტარტაპ მეგობრული“ სტარტაპებს მსხვილ ბიზნესკომპანიებთან ურთიერთობის დამყარებაში დაეხმარება, ხოლო მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, სხვადასხვა დარგის განვითარების პროცესში ჩართვისა და ორმხრივად სასარგებლო ინვესტიციების განხორციელების საშუალებას მისცემს.

ახალი პროექტის პრეზენტაციას დღეს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო. მისი შეფასებით, „სტარტაპ საქართველო“ მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ყველაზე ახალგაზრდული, პერსპექტიული და ოპტიმისტური პროდუქტია.

როგორც პრემიერმა პრეზენტაციაზე აღნიშნა, ახალი პროექტი დამწყებ ბიზნესმენებს საშუალებას მისცემს, დიდი ბიზნესის მიმართულებით „გასასვლელი ჭიშკარი“ იპოვონ.

„სტარტაპ მეგობრული“ ახალ სტარტაპებსა და მსხვილ, დამკვიდრებულ კომპანიებს, წარმატებულ ბიზნესებს შორის ურთიერთობის ფორმატის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ეს ფორმატი აუცილებელია იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერ სტარტაპს სჭირდება კომუნიკაცია ახალ ტექნოლოგიებთან და დიდ კაპიტალთან. ამიტომ, ეს ფორმატი, რომელიც დღეს იქმნება, სწორედაც არის ის ხიდი, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდა, დამწყებ ბიზნესმენებს, ჰქონდეთ გასასვლელი ჭიშკარი დიდი ბიზნესის მიმართულებით“, - განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ახალ პროექტში პირველი „თიბისი ბანკი“ ჩაერთო, რომლის დამფუძნებელმა, მამუკა ხაზარაძემ, თავის დროზე ბანკი 500 აშშ დოლარით დააფუძნა.

„ასეთი მაგალითებით იქმნება ქვეყნის ეკონომიკა. ასეთი მაგალითების ენთუზიაზმი არის ის, რასაც ქვეყანა წინ მიჰყავს. „სტარტაპ მეგობრული“ იქნება ის ფორმატი, რომელიც წაახალისებს და ერთგვარად სოციალურ პასუხისმგებლობად აქცევს დიდი ბიზნესისთვის სტარტაპ კომპანიებთან მეგობრობას. გილოცავთ დღევანდელ დღეს, დარწმუნებული ვარ, ეს ნაბიჯი არის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც დამწყებ ბიზნესმენებს მოგცემთ საშუალებას, გახდეთ დიდი ეკონომიკის ნაწილი. თქვენ ხართ დიდი ეკონომიკის საუკეთესო ნაწილი. ერთ-ერთი მთავარი შედეგიც ამ პროექტის, გახლავთ ის, რომ მსხვილმა ბანკებმა სტარტაპებს არ შეხედონ, როგორც გერს. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან მეც საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ბანკირი ვარ და ვიცი ბანკებში ჩამოყალიბებული პრაქტიკა. ამიტომ, ჩვენ, როგორც სტარტაპ ეკონომიკას გვჭირდება სხვანაირი მიდგომები, მსხვილი კომპანიების მხრიდან მეგობრული დამოკიდებულება ასეთი დამწყები, ინოვაციურად მოაზროვნე ბიზნესმენებისადმი“, - განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობას ახალგაზრდებისთვის კიდევ არაერთი საინტერესო გეგმა აქვს.

პროექტ „სტარტაპ მეგობრულის“ პრეზენტაციას, რომელიც ტექნოპარკში გაიმართა, საქართველოს მთავრობის წევრები და როგორც დამწყები, ისე - მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ.

# ნატოს ლიდერი: განვაგრძობთ საქართველოსთან ძლიერი პარტნიორობის განვითარებას

ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ალიანსი განაგრძობს „საქართველოსთან ძლიერი პარტნიორობის განვითარებას“. ამის შესახებ მან განაცხადა ბრიუსელში, თავდაცვის მინისტრების შეხვედრის დასკვნით პრეს-კონფერენციაზე. „საქართველო არის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი ნატოსთვის, ძალიან ანგარიშგასაწევი პარტნიორი. ჩვენ მრავალი მიმართულებით ვთანამშრომლობთ. ბოლოხანს მთელი ტრანსატლანტიკური საბჭო ეწვია საქართველოს და, დაახლოებით, ერთი წლის წინ გავხსენით ახალი საწვრთნელი ცენტრი საქართველოში და წელს ერთად ჩავატარებთ ფართომასშტაბიან წვრთნებს. ასე რომ სხვადასხვა, მრავალი მიმართულებით ვთანამშრომლობთ. ნატოს წარმომადგენლები გვყავს საქართველოში და საქართველო მონაწილეობს ნატოს სხვადასხვა მისიასა და ოპერაციაში. ასე რომ, გავაგრძელებთ საქართველოსთან ძლიერი პარტნიორობის განვითარებას. ეს მნიშვნელოვანია ნატოსათვის, ისევე როგორც საქართველოს უსაფრთხოებისათვის“, - განაცხადა ნატოს მინისტერიალის დასკვნით პრესკონფერენციაზე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. ბრიუსელში გამართულ ორდღიან მინისტერიალზე ითქვა ასევე, რომ ნატოს წევრი ქვეყნები მზად არიან კონკრეტული ნაბიჯები გადადგან შავი ზღვის რეგიონში წარმომადგენლობის გასაზრდელად, რასაც საფუძვლად უდევს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, მინისტერიალზე ითქვა, რომ ნატო ჯერ ვერ ხედავს საქართველოს როლს შავი ზღვის უსაფრთხოების პროექტის განხორციელებაში.

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 41

**ქ. დედოფლისწყარო** **11. 09. 2015 წელი**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყერის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ და „შ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ და „შ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყერის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. დადგენილების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. № 15) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**11.09.2015 წლის №41 დადგენილების**
**დანართი**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყერის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების წესი

ეს წესი ვრცელდებასაქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ და „შ“ ქვეპუნქტების შესაბამისად სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყერისდასხვა)ანსხვაფორსმაჟორულიგარემოების შედეგად მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევებზე

მუხლი 1. საქართველოს კანონის „საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყერისდასხვა) შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს საკრებულოს მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - საკრებულოს განკარგულებას.

მუხლი 2. საქართველოს კანონის „საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მისაღები მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მეწყერისდასხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს საკრებულოს მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - საკრებულოს განკარგულებას.

მუხლი 3. საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულების საფუძვლად განისაზღვროს საკრებულოს გადაწყვეტილებით შექმნილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალის დამდგენი კომისიის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი მასალების შესაბამისად წარმოდგენილი დასკვნა:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალის დამდგენი კომისიის მიერ კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის შედგენილი დათვალიერების აქტი (ფოტო-მასალა, სიტუაციური აღწერილობა);
2. მოსავლის განადგურების სხვა მიზეზის გამორიცხვის მიზნით დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი :

ა) ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის ცნობა სტიქიური მოვლენის შესახებ;
ბ) სათესლე მასალის აღმოცენების უნარიანობის ლაბორატორიული ცნობა/დასკვნა; (მხოლოდ საქართველოს კანონის „საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში)
გ) ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურის მიერ გაცემული დოკუმენტი; (მხოლოდ საქართველოს კანონის „საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში)
დ) მიწის ნაყოფიერების დამადასტურებული დოკუმენტი/დასკვნა (ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი);
ე) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.(მხოლოდ საქართველოს კანონის „საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში)

3. მოსავლის განადგურების პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით ინფორმაცია ჩატარებული საკონტროლო ჭრის შესახებ.(მხოლოდ საქართველოს კანონის „საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

მუხლი 4. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალის დამდგენი კომისიის დასკვნა დგება ორჯერ - სტიქიის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ ( საკონტროლო ჭრის დროს).

მუხლი 5. ამ წესის მესამე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის ვადად განისაზღვროს 20 კალენდარული დღე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი

# გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტიდან საგარანტიო წერილის წარმოდგენა საჭირო  აღარ გახდება

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სოციალური დახმარების დაფინანსების ან თანადაფინანსებისა და სოციალური დახმარების კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ “ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის განკარგულებაში ცვლილებაა. აღნიშნული ცვლილების თანახმად, მწვავე გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტიდან ე.წ. საგარანტიო წერილის წარმოდგენა საჭორო აღარ გახდება.



განკარგულების ცვლილება საკრებულომ 28 ოქტომბრის სხდომაზე ერთხმად დაამტკიცა.

# თუ თქვენ წლებია ელოდებით შვილს, წაიკითხეთ ეს სტატია!

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს „წითელი ჯვრის“ ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ქალბატონი ნათელა თამაზაშვილი საინტერესო სტუმრების მასპინძლები აღმოჩნდნენ. დედოფლისწყაროში სტუმრად ჩამოვიდნენ თურქეთის IVF in vitro განაყოფიერების ცენტრის ACIBADEM „აჯიბედიმის“ კლინიკის წარმომადგენლები. მოგეხსენებათ, თურქეთში მედიცინის განვითარება ისეთ მაღალ სტანდარტებს მიუახლოვდა, რომ მან ევროპის ქვეყნებიდანაც კი მიიზიდა პაციენტები. აჯიბედიმის კლინიკამ პაციენტების განაყოფიერების მონაცემებით გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ისრაელი, გერმანია და სხვა ქვეყნები. შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში შედგა. აუდიტორიას წარმოადგენდნენ დედოფლისწყაროს მედიცინის მუშაკები და მოსამსახურე ქალბატონები. სტუმრებმა წარმოადგინეს სტამბულის კლინიკა „აჯიბედიმის“ სრულყოფილი პაკეტი. აღნიშნეს, რომ მათი გარანტიები საკმაოდ მაღალ ნიშნულზე დგას, აქვე ისაუბრეს ფასებზე და მოუწოდეს ყველა უშვილო დედას, ნუ დაელოდებიან მკურნალობას და წლებს. თურქმა ექიმებმა აღნიშნეს, რომ ქორწინებიდან ერთი წლის მანძილზე თუკი ქალბატონი არ დარჩა ორსულად, მან უკვე უნდა მიაკითხოს ექიმს. რაც შეეხება მკურნალობის მეთოდს, რომელიც საქართველოშია აპრობირებული, მათი შეხედულებით, საქართველოს მედიცინა არაა იმ სტანდარტებთან მიახლოვებული, რომ მკურნალობამ მაღალპროცენტიანი შედეგი გამოიღოს, ხანგრძლივი მკურნალობა მხოლოდ აზიანებს სხეულის სხვა ორგანოებს და თუ ქალბატონმა მკურნალობის შედეგად, (რომელიც არც თუ ისე იაფი ჯდება,) მიიღო შვილი, სამაგიეროდ დაიზიანა სხვა ორგანოები, რაც უკვე მძიმე შედეგებით სრულდება. „აჯიბედიმის“ კლინიკაში არ ღირს იაფი საკუთარი შვილის ჩუქება, თუმცა, მათი გარანტიები საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, ისინი გამორიცხავენ უშვილობას ზოგადად და თვლიან, რომ არ არსებობს უშვილო დედა, ყველა ქალის კვერცხუჯრედში და მამაკაცის სპერმაში მოიპოვება ჯანმრთელი და განაყოფიერების მქონე უჯრედები, რომელსაც მათი კლინიკა გამოარჩევს და ისინი დახურული მილების შემთხვევაშიც კი ქალის ორსულობის გარანტად დგებიან. აღსანიშნავია, რომ სტამბულის ამ ცნობილ კლინიკაში არ ღირს იაფი მოხვედრა და დედის დაორსულება. აქ ფასები 8 000 ევროდან იწყება, თუმცა, მას შემდეგ, რაც სტამბულმა თბილისში ოფისი გახსნა და თურქეთის კლინიკის პროფესორები საქართველოში არსებული ეკონომიკური რეალობა დაინახეს, მათ საქართველოს მოქალაქეებისთვის გააკეთეს საჩუქარი და ფასები დაბლა დასწიეს, ახლა „აჯიბედიმის“ კლინიკაში ოჯახს შეუძლია 3 000-4 000 დოლარად ჩაიტარონ ეს პროცედურა. კლინიკა ამ ფასში კლიენტს სთავაზობს მთლიან სერვისს, ეს იქნება პაციენტის გამგზავრება, სასტუმროში დაბინავება, წინასწარ ჩაწერა, თარჯიმანის გაყოლა და ყველა ის პირობა, რომ პაციენტმა იქ თავი უცხოდ არ იგრძნოს. აქვე აღინიშნა, რომ თბილისში „აჯიბედიმის“ ოფისის გახსნა, საქართველოდან პაციენტთა მიმართვიანობის ზრდამ გამოიწვია, ეს ოფისი საკმაოდ აადვილებს პროცესს და უფრო კომფორტულს ხდის პაციენტისთვის იქ ჩასვლის პირობებს, ფაქტიურად თბილისის ოფისის საშუალებით (მისამართი- ჭავჭავაძის N58, თურქეთის საელჩოსთან ახლოს) „აჯიბედიმში“ პაციენტი ყველანაირად მობილიზებული მიდის. აქაური ოფისის მეშვეობით მათ შეუძლიათ ჩაეწერონ კლინიკაში, აიღონ ანალიზები, რომელიც იგზავნება თურქეთში და მათ იქ ჩასვლისას აღარ უწევთ დიდ რიგებში დგომა, სასტუმროს დიდი ხნით აღება, რაც დიდ თანხებს მოითხოვს. კლინიკა ასევე აკეთებს იმ შეღავათსაც კი, რომ პაციენტებს, რომლებსაც შესაძლოა თანხა აღარ ჰქონდეთ, ისინი არ დაგტოვებენ უყურადღებოდ, შეუძლიათ გადაიხადონ მგზავრობის, ტაქსის, სასტუმროს თანხები და ყველა ის პირობები შეგიქმნან, რის საშუალებაც იმ წუთში შესაძლოა არ გაგაჩნდეთ. მათ შეუძლიათ უთანაგრძნონ პაციენტს, მისცენ თანხა, რომელსაც შემდეგ პაციენტი გადაუგზავნის თბილისიდან და დაუბრუნებს თანხას. „აჯიბედიმის“ კლინიკის წარმომადგენელი დედოფლისწყაროში ქალბატონი ნათელა თამაზაშვილი გახლავთ და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქალბატონ ნათელას. შეხვედრაზე ამ თემის ირგვლივ დაისვა სხვადასხვაგვარი კითხვები, რასაც „აჯიბედიმის“ კლინიკის ექიმის მიერ მოჰყვა საკმაოდ მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური პასუხები. „აჯიბედიმი“ აცხადებს: არ არსებობს უშვილო ქალი ან მამაკაცი, მათში არსებობს პოტენციალი, მობრძანდით ჩვენთან და ჩვენ რამდენიმე თვეში გაჩუქებთ ორსულობას და აქედან გამომდინარე- შვილს. საქართველოდან და ჩვენი რაიონიდან ქალბატონი ნათელა თამაზაშვილის საშუალებით უკვე გაგზავნილი არიან პაციენტები, მათ უკვე უტარდებათ კურსი, არიან დედები, რომლებმაც ერთი შვილი ამ კლინიკის საშუალებით უკვე გააჩინეს და მეორე შვილზე დასაორსულებლად მიდიან. სცადეთ თქვენც, ვისაც შვილის ყოლა ოცნებად გაქვთ გადაქცეული, დამერწმუნეთ, შვილის სიამოვნებით მიღებულ ბედნიერებას არაფერი შეედრება, ის აუწონავია და არაფერია იმ გადასახდელ თანხასთან შედარებით.



ლალი მეხრიშვილი

# უშვილობა და მისი გადაჭრის გზები

გაგიკვირდებათ და კვერცხუჯრედის ადამიანის ორგანიზმის მიღმა განაყოფიერების პირველი მცდელობა ამერიკელ მეცნიერებს ჯერ კიდევ 1944 წელს ჰქონდათ. პირველად კი ეს სამედიცინო ტექნოლოგია წარმატებით დიდ ბრიტანეთში 1977 წელს გამოიყენეს. საქართველოში და ზოგადად ამიერკავკასიაში პირველი სინჯარის ბავშვი 1999 წელს დაიბადა.

წლების წინ, საზოგადოების ინფორმირების დონე ინ ვიტრო განაყოფიერების - IVF მეთოდის შესახებ საკმაოდ დაბალი იყო, დღეს ვითარება მნიშვნელოვნად არის შეცვლილი.

მეთოდის არსში, ტექნოლოგიასა და მის შედეგებში გარკვევამ, ინ ვიტრო განაყოფიერებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კლინიკა "ინ ვიტროში" პაციენტთა მიმართვიანობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ექიმები ფიქრობენ, რომ რაც უფრო მაღალი იქნება მოსახლეობის ინფორმირების დონე ამ მეთოდის შესახებ, მით უფრო დროულ და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ყოველი უშვილო წყვილი.

ექიმი-რეპროდუქტოლოგი: „ზოგადად უშვილობა ძალიან სერიოზული პრობლემაა და ბოლო დროს, სულ უფრო აქტუალურია. შესაძლოა იმის გამო, რომ ადამიანებმა მეტი ინფორმაცია მიიღეს უშვილობის პრობლემის გადაწყვეტის შესახებ და ეს პრობლემა უფრო წარმოჩნდა. თუმცა, ამასთან ერთად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ შეიცვალა უშვილობის სტრუქტურა. მაგალითად, თუ უწინ ქალი უფრო წამყვანი ფიგურა იყო უშვილობის მიზეზთა თვალსაზრისით, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, აბორტების გართულებების შედეგად, ბოლო დროს, უშვილობის მიზეზთა ძიებისას, წინ წამოიწია მამაკაცის ფაქტორმა.

სპერმატოგენესის დარღვევები გამოწვეულია მრავალი ფაქტორით. ჰორმონული და ინფექციური პათოლოგიების გარდა, დარღვევებს ეკოლოგიური ფაქტორი, სტრესი, კვებით დანამატებთან, არაჯანსაღ ცხოვრების წესთან დაკავშირებული ცვლილებები იწვევს. არ იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემაა. მსგავსი ტენდენცია მთელ მსოფლიოში შეინიშნება და ყველა სამეცნიერო კონგრესი, რომელიც უშვილობის თუ გინეკოლოგიურ თემაზე იმართება, სწორედ ამ თემის განხილვით იწყება.

**- და გამოსავალი ნაპოვნია?**

- სამწუხაროდ, გამოსავალი ამ შემთხვევაში არც ისე ბევრია. ძირითადად, უშვილო წყვილების დახმარება, რეპროდუქციული ტექნოლოგიებით ხდება. უშვილობის მიზეზი თავად განსაზღვრავს თუ რა პროცედურები უნდა ჩაუტარდეს პაციენტს.

**- რა შემთხვევაშია საჭირო ინ ვიტრო მეთოდის გამოყენება?**

- ქალის შემთხვევაში ეს შესაძლოა იყოს ენდოკრინული პათოლოგია, ტუბოპერიტონიალური ფაქტორი, რაც ხელს უშლის სპერმატოზოიდის და კვერცხუჯრედის შეხვედრას და ემბრიონის ჩამოყალიბებას ან მის მოხვედრას საშვილოსნო ღრუში. ნებისმიერი რთული ოპერაციული ჩარევა მუცლის ღრუზე, გადატანილი ინფექციური დაავადებები, განვითარების მანკები, ზოგჯერ მიზეზია იმისა, რომ ფიზიოლოგიურად, საშვილოსნოს მილში არ ხდება სპერმატოზოიდის და კვერცხუჯრედის შეხვედრა, შემდეგ კი ზიგოტის - განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ტრანსპორტირება საშვილოსნოს ღრუში. ეს კი შესაძლოა საშვილოსნოს გარე ორსულობის მიზეზი გახდეს. ამ დროს ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა, საშვილოსნოს მილის ამოკვეთა.

თუ ეს პროცესი ორმხრივია, ქალის ფიზიოლოგიური გზით დაორსულების შანსი მინიმუმამდე მცირდება. სხვათა შორის, თავდაპირველად სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის შეიქმნა ე.წ. "სინჯარის" ანუ ინ ვიტრო განაყოფიერება. ინ ვიტროს ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კვერცხუჯრედის და სპერმატოზოიდის შეხვედრა და განაყოფიერება ხდება ორგანიზმის გარეთ - სინჯარაში. ორი-სამი დღის შემდეგ ემბრიონი ტრანსვაგინალურად, ანუ საშვილოსნოს ყელის გავლით საშვილოსნოს ღრუში გადაგვაქვს.

**- დღეს ინ ვიტრო მამაკაცის უშვილობის პრობლემების გადაწყვეტისთვისაც გამოიყენება ხომ?**

- მეთოდის განვითარებამ, ტექნოლოგიების დახვეწამ

განაპირობა ის, რომ მისი გამოყენება რეკომენდებულია ბევრი სხვა პათოლოგიის დროსაც. მაგალითად, მამაკაცის შემთხვევაში ოლიგოსპერმიების შემთხვევაში, ან მაშინ, როდესაც მის სპერმაში არ მოიპოვება იმ ხარისხის სპერმატოზოიდები, რომ ინსემინაციით ველოდოთ ორსულობას. ამ დროს მივმართავთ ინტრაციტოპლასტური სპერმის ინიექციას. ეს არის იგივე ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდი, მაგრამ, სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შერწყმა სინჯარაში თავისთავად კი არ ხდება, არამედ განაყოფიერების პროცესს მიკრომანიპულატორის ქვეშ ემბრიოლოგი განახორციელებს - კონკრეტულად ის სპერმატოზოიდი, რომელიც ამორჩეულია მოძრაობის, მორფოლოგიის და სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით შეჰყავს კვერცხუჯრედში. ამ მეთოდს ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინიექცია - ICSI ეწოდება. ასეთ დროს გადალახულია ე.წ. იმუნოლოგიური ფაქტორები, როდესაც ანტისხეულების, კვერცხუჯრედის გარსზე არსებული სხვადასხვა პრობლემის გამო არ ხდება გამეტების შერწყმა.

მიღებული ემბრიონების ხარისხი, ორსულობის პროგნოზი ძირითადად დამოკიდებულია ქალის ასაკზე. იმის მიხედვით, თუ რამდენად რთულია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ზოგჯერ საშვილოსნო ღრუში გადაგვაქვს რამდენიმე ემბრიონი, რაც ერთი-ორად ზრდის ორსულობის ალბათობას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში არსებობს მსუბუქი რისკი იმისა, რომ მივიღოთ მრავალნაყოფიანი ორსულობა, რასაც ხშირად პაციენტები მიესალმებიან, თუმცა ევროპული მიდგომით ტყუპი ორსულობა მსუბუქ სამეანო გართულებად განიხილება, თუმცა ამერიკაში სხვა შეხედულება აქვთ.

**- ინ ვიტრო განაყოფიერების რომელი მეთოდი იქნება გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში, ექიმი წყვეტს, თუ ეს პაციენტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული?**

- ამ გადაწყვეტილებას ექიმი-კლინიცისტი იღებს. ჩვენ ვუხსნით და ვურჩევთ პაციენტს თუ რა მოდიფიკაციები არსებობს და მის კონკრეტულ სიტუაციაში რა შეიძლება გაკეთდეს. პაციენტი იღებს სრულ ინფორმაციას და მხოლოდ მისი თანხმობით ხდება გადაწყვეტილების მიღება. შესაძლოა ჩვენ არ მიგვაჩნდეს აუცილებლად, პაციენტს ჩაუტარდეს ბლასტოცისტას ტრანსფერი - ეს არის ემბრიონის არა მესამე დღეს, არამედ სინჯარიდან მეხუთე დღეს გადატანა საშვილოსნოს ღრუში. ამ დროს, ცოტა უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ყოველი ბლასტოცისტას მიმაგრება მოხდეს. ასეთი მეთოდით ინ ვიტრო განაყოფიერების ჩატარებას ის პაციენტები ითხოვენ, ვისაც სხვაგან აქვთ გაკეთებული ეს მანიპულაცია და კიდევ ერთი უშედეგო მცდელობისგან თავის დაზღვევა სურთ. მაგრამ ამ მეთოდის ჩატარებას ყველას არ ვურჩევთ, ამას თავისი პაციენტები და თავისი ჩვენება აქვს.

**- რა ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი სინჯარაში განაყოფიერებული ემბრიონის შესახებ?**

- რა თქმა უნდა, ინ ვიტრო მეთოდის ჩატარებამდე ყველა კვერცხუჯრედი ხარისხობრივად ფასდება, მაგრამ მეტი ინფორმაციის მიღება შეგვიძლია ემბრიონისგან. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ემბრიონი უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობის უჯრედებისგან შემდგარი, რაც ასახავს რამდენად სწრაფად იყოფა, ფასდება როგორია უჯრედების მორფოლოგია, ფორმა, ბირთვები, რაც გვაძლევს საშუალებას პროგნოზის თვალსაზრისით შევაფასოთ შედარებით ძლიერი და სუსტი ემბრიონები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვიღებთ გადაწყვეტილებას, რამდენი ემბრიონის გადატანა იქნებოდა უპრიანი.

ჩვენი თვითმიზანი სულაც არ გახლავთ ის, რომ რაც შეიძლება მეტი ემბრიონის მიღება მოხდეს. თუ გადატანილი ემბრიონების გარდა კიდევ დაგვრჩა კარგი ემბრიონები, მათ გაყინვასა და შენახვას - კრიოპრეზერვაციას ვახდენთ, რათა გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ მოხდეს მათი საშვილოსნოს ღრუში გადატანა. გაყინული ემბრიონის გამოყენება შესაძლოა მოხდეს ერთ-ორ თვეში უშედეგო IVF ციკლის შემდეგ, ან მშობიარობიდან რამდენიმე წლის შემდეგ. შესაძლებელია ასევე სპერმის შენახვა, რასაც რიგ შემთხვევებში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ მამაკაცს დაგეგმილი აქვს ოპერაცია სათესლე ჯირკვლებზე, ან სხვა სისტემის სიმსივნური პროცესის გამო აპირებს ქიმიოთერაპიის ან სხივური თერაპიის კურსის ჩატარებას, ან ჩ ჰეპატიტის აგრესიულ მკურნალობამდე, რაც მნიშვნელოვნად აფუჭებს სპერმის ხარისხს, ხდება სპერმის გაყინვა და შენახვა.

**- იმ შემთხვევაში, თუ რეგულარული, დაუცველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ ორსულობა არ დგება, რა ვადაზეა მიზანშეწონილი, წყვილმა მიმართოს ექიმ-რეპროდუქტოლოგს?**

- ამ ვადებს მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო სამეცნიერო ორგანიზაციები განსაზღვრავენ. თუ დაუცველი სქესობრივი ცხოვრების პირობებში ერთი წლის განმავლობაში ორსულობა არ დგება, რა თქმა უნდა სასურველია ჩატარდეს გამოკვლევები, მაგრამ დიაგნოზი - უშვილობა, მხოლოდ ორწლიანი თანაცხოვრების შემდეგ შეიძლება დაისვას. მკურნალობის ხანგრძლივობაც არ უნდა იყოს განუსაზღვრელი. მაგალითად, თუ პაციენტი ჰიპერპროლაქტინების დიაგნოზით ექვსი თვის - ერთი წლის განმავლობაში მკურნალობს, მაგრამ ორსულობა არ დგება, ექიმი ვალდებულია პაციენტს უთხრას, რომ მისი დაავადების უკან შესაძლოა სხვა, უფრო რთული პრობლემა დგას.

თუ საჭიროა საშვილოსნოს მილების გამტარიანობის აღდგენა, მაგრამ შესაბამისი პროცედურიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ სასურველი შედეგი მაინც არ დგება, ექიმი ვალდებულია ურჩიოს პაციენტს ჩაიტაროს ინ ვიტრო განაყოფიერება. ყველაზე დიდი ზიანი რომელიც შეიძლება პაციენტს მივაყენოთ არის მისი დროის გაფლანგვა, რადგან ინ ვიტრო განაყოფიერების ეფექტურობა ძირითადად ქალის ასაკზეა დამოკიდებული.

# უცხოელები ფიროსმანის ნახატებთან მუხლს იყრიან და პირჯვარს იწერენ!



ეს ის თემაა, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით ვწერ, ეს ის თემაა, როდესაც შემოდგომას ულამაზესად აღვიქვამ, როდესაც შემიძლია მთელი მირზაანი ფეხშიშველმა ავიარო, გზა-გზა წნელის მესრებიან ეზოებთან შევჩერდე და დიასახლისს წყლის გამოტანა იმ მიზეზით ვთხოვო, რათა ცოტა ხნით შევყოვნდე და დავტკბე მისი კოპწია, ლამაზი სახლის ყურებით, რომელიც, ყველა ერთიანად, ფიროსმანის სახლს წააგავს. ეს ის დროა, როდესაც მუზეუმის ეზოში უნდა შეაბიჯო და არ გინდა შესვლა, რადგან ჯერ გარეთ ლამაზი მთების და სერების ყურებით ვერ გამძღარხარ.... იმ დღით ფიროსმანის ნაღვლიან ბუნებასავით მოწყენილი ამინდია, მის ცხოვრებასავით უმზეო, ცივი, მაგრამ წვიმის ცრემლებისგან მკვეთრი კონტურებით ისე დახატული გარემო, რომელსაც ვერაფერი წაშლის, ისევე, როგორც მისი ჯადოსნური ფუნჯით დახატული შედევრები ვერაფერმა წაშალა, პირიქით, უკვდავი დარჩა. შემომცინეს გულგადახსნილმა ბროწეულებმა; ბროწეულის ხე ყველაზე ლამაზ ხედაა აღიარებული, ბარაქის და ოჯახის გაერთიანების ხედ, მადლიანი რომ არ იყოს ფიროსმანის ფეხითდანაბიჯარი მიწაწყალი, განა ბროწეულის ხეები ამოვიდოდა მის ეზოში, ნარი და ეკალი იხარებდა! არა, იმ ერთმა უბრალო ნიკალამ საქართველო ხომ გახადა პოპულარული მსოფლიოში და ესეც არ იკმარა, გემრიელი, ნაღდი ქიზიყური ეზოყურე დაგვიტოვა, მის ნახატებს რომ ზედმიწევნით ჰგავს. მუზეუმის კარს ვაღებ და ისე შემომცინეს მისმა ორიგინალებმა, რომ ინსტიქტურად პირჯვარს ვიწერ, უთვალავჯერ ნანახი, კიდევ სასწაულად მეჩვენება, კიდევ ხავერდოვნად მიყურებენ და ვერ ძღება თვალი. თითქოს მისი იდუმალი, ნაღვლიანი თვალები მიყურებენ ყველა ნახატიდან და უდიდესი მოწიწება მეუფლება. ამაყად შევყურებ მის შემოქმედებას, რადგან ახლა ორი შვილი მიდგას გვერდით ამოვდივარ და მისი შემოქმედების გაცნობით უდიდეს კულტურას ვაზიარებ მათ. დღეს არაფერი არ ხდებოდა მნიშვნელოვანი ხვალ კი, მეორე დღეს გერმანელი მხატვრის გამოფენით უნდა აღნიშნონ ფიროსმანობა, თუმცა, მე იქიდან ისე როგორ წამოვალ, რომ ერთი ინტერვიუ მაინც არ წამოვიღო, ვინმეს კიდევ არაფერი ვკითხო ფიროსმანზე! ფონდების მცველს ქალბატონ ლამარა უზუნაშვილს გამოველეპარაკე, ტკბილად საუბრობდა და ჩემი ყურედღებაც მასზე შევაჩერე. სასიამოვნო საუბარი გამოგვივიდა. ქალბატონი ლამარა პროფესიით ფილოლოგია, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ადგილებში მუშაობდა, მაგრამ უკვე 18 წელია, ფიროსმანის მუზეუმის თანამშრომელია, მასაც ნიკო ფიროსმანის სიყვარული სენივით გასჯდომია სისხლში და ამ გარემოს გარეშე იმდენად ველარ სძლებს, რომ ყოველ დილით ზემო მაჩხაანიდან მირზაანამდე არსებულ საკმაოდ დიდ მანძილს ერთი ამოსუნთქვით ისე გამოივლის, თითქოს ორი ნაბიჯი იყოს.

**-ქალბატონო ლამარა, მოგვიყევით თქვენს შესახებ, სად დაიბადეთ, სად მიიღეთ განათლება...**

-ლამარა უზუნაშვილი- დავიბადე 1953 წელს სოფელ ზემო მაჩხაანში, დავამთავრე ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა და სწავლა გავაგრძელე თელავში იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დამთავრების შემდეგ დავიწყე სხვადასხვა ადგილზე მუშაობა, მუზეუმში უკვე 18 წელია ვმუშაობ სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო რვა წელია, ვმუშაობ ფონდების მცველად. 11 000 ექსპონატზე მეტი გვაქვს ფონდებში, ძალიან კარგი ნამუშევრები გვაქვს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ფიროსმანის 14 ორიგინალი გვაქვს. ფონდებში კარგად დაცულია სხვადასხვა მხატვრების მიერ შესრულებული ნამუშევრები, რომელსაც პერიოდულად ვცვლით.

**-ბავშვობაზე გვიამბეთ, ფიროსმანი როგორ უკავშირდება თქვენს ბავშვობას, როდის გააცნობიერეთ, რომ აქ, ამ სოფელში დაიბადა დიდი ნიკალა, სად გადაიკვეთა პირველად თქვენი გზები?**

-როდესაც ფიროსმანის აშენებული სახლი გაიხსნა 1960 წელს, მე მახსოვს, ბავშვი ვიყავი, იმ წელს პირველ კლასში შევედი. მაშინ დიდი დღესასწაული იყო, ისტორიული დღე და მე ამას ვესწრებოდი, ფიროსმანი მაშინ გაცოცხლდა მირზაანში, ახლა ყოველდღე, როდესაც მირზაანში მოვდივარ და შემოვდივარ ამ ეზოში, ყოველ ხეს ვეფერები, ყოველი ხე, ყოველი ადგილი მიყვარს, რადგან საკმაო წლები მაკავშირებს ამ სამსახურთან და ვეფერები ყველაფერს, ასე მგონია, რომ ყველაფერი ფიროსმანის ხელშეხებულია.

**-როდის გადაწყვიტეთ, რომ ნიკო ფიროსმანის მუზეუმში გემსახურათ?**

-თავიდანვე დაგეგმილი არ იყო, მაგრამ ფიროსმანი მე ბატონმა ანზორმა შემაყვარა, მას მიუძღვის დიდი დამსახურება ამაში, მართალია, ასაკობრივად ანზორი ჩემზე დიდია, მაგრამ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს და მისი დამსახურებაა, რომ მე ფიროსმანი მიყვარს და აქ ვარ დღეს.

**-რაც შეეხება თქვენს ოჯახს?**

-მყავს ერთი შვილი, ერთი შვილიშვილი და სიძე.

**-გიფიქრიათ თუ არა იმ ცხოვრებაზე, რომელიც ფიროსმანმა გაიარა და როგორ აფასებთ, ხომ შეიძლებოდა უკეთესად ეცხოვრა და მისი ოცნებები მის სიცოცხლეშივე ასრულებულიყო?**

-ძალიან გული მწყდება მის ცხოვრებას როდესაც ვეცნობი, ისიც არ ვიცით, სად არის მისი საფლავი. ამ დიდმა გენიოსმა მხატვარმა, მირზაანის სახელი მთელს მსოფლიოს ამცნო, ამიტომ დღევანდელი გადასახედიდან ღირდა, სამწუხაროა, რომ ის ვერაფერს მოესწრო. თუმცა, მან მაშინ ერთადერთმა იცოდა თავისი ფასი, ის ამბობდა: „მე ვიცი, ჩემი ნამუშევარი რა ღირს, რომ ერთი ხბოიანი ძროხა მომივიდოდა, მაგრამ რასაც შემომაძლევენ, იმას ვღებულობ, ვხატავ იმიტომ, რომ არაყი ვიყიდო და ვსვამ, იმიტომ რომ დავხატოო“,-ეს გენიოსი მხატვრის ნათქვამია, სიტყვები, რომელიც სხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა მისმა დამფასებლებმა უფრო უკეთ იციან, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთმა.

**-როგორია სოფლის დღევანდელი მდგომარეობა, მათთვის ფიროსმანის სოფელში ცხოვრება თითქოს არაფრისმომტანია, ასეთი ტურიზმის მქონე სოფლის მაცხოვრებლებს არ უნდა ედგეთ გასაჭირი, ნიკალას სოფელს და მათ მკვირდთ წესით არ უნდა უჭირდეთ, მე ვნახე სიღნაღის სკვერში ღია ცის ქვეშ იჯდა კაცი, წინ ნიკალას უბრალო ფანერის ფიცარზე ვაიდახატული ასლი „მეთევზე“ და „მარგარიტა“ ედო მოლბერტზე და ზედ ასი ლარი ეწერა ფასი, ვკითხე და მეყიდება–ხოლმეო, მითხრა, ტურისტები ყიდულობენო. გავვოცდი, ჩვენი ნიკალათი სიღნაღელები ხელს ითბობენ, ჩვენებურ მირზაანელს კი შერცხვებოდა, ვერ გაკადნიერდებოდა, არც შეჰკადრებდა აქაური ფიროსმანს, რომ მისი ნახატების თემით ევაჭრა!**

-მართალი ბრძანდებით, მსოფლიოში ბევრმა იშოვა ფული ფიროსმანის ნახატების ასლებით, თვით მოდელებმაც კი, მაგრამ ჩვენ ხომ ტურისტულ მარშრუტში არ ვართ ჩასმული. ტურისტულ სააგენტოებში კი არის სავიზიტო ბარათები დარიგებული, მაგრამ ჩვენ ტუსრისტულ მარშრუტში არ ვზივართ ადრინდელივით და ამიტომ ტურისტი აქ ნაკლებად მოდის, ვიდრე სიღნაღში. მე იმ დროიდან ვმუშაობ, რომ ჩვენ საათები ვიცოდით, რომელ საათზე ვინ უნდა მოსულიყო ყოველდღე. მაშინ უფრო უკეთესი იყო სოფლის მაცხოვრებლების ცხოვრებაც და ჩვენი მუშაობაც.

**-ადამიანების გულისტკივილს ისიც იწვევდა, რომ ნიკალას ორიგინალები სიღნაღში გადაიტანეს და აქ აღარ მოდიოდა ტურისტი...**

-ეს იყო „სააკაშვილის დიდი დამსახურება“ რომ სიღნაღის მუზეუმს ფიროსმანის მუზეუმი უწოდა. ეს უსამართლობა იყო, შეიძლება ეს ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ფიროსმანი რვა წლიდან თბილისში იზრდებოდა და არაა გამორიცხული, ის სიღნაღში არც არასოდეს იყო ნამყოფი. სამი ნამუშევარი იყო იქ და დაგვიბრუნეს, 14 ნამუშევარი არის ჩვენი საკუთრება. 12 ადგილზეა, 2 სარესტავრაციოდაა წაღებული.

**-როგორია დღეს მუზეუმში არსებული პირობები, გათბობის და განათების საკითხი, იმისთვის რომ ორიგინალებისთვის საუკეთესო პირობები იყოს შექმნილი, არის კი ნორმალური პირობები?**

-ბევრ შავ დღეს გაუძლო მუზეუმმა 7 წელი, უშუქობა, უგაზობა, უწყლოობა, გათბობის გარეშე დარჩენილი ექსპონატები, ძნელბედობა ბევრი იყო.ნიკა ვაჩეიშვილის დიდი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ ვართ ისე მაინც, როგორც ვართ. ჩვენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ვეკუთვნით, წყალი ჩამოდიოდა ჭერიდან და ექსპონატები ცელოფანში მქონდა შეფუთული. ბევრ ჟამთა ვითარებას გავუძელით მეც და ექსპონატებმაც. მაგრამ იმის მერე გარემონტდა, განათებაც გვაქვს, გათბობაც არის, ამ წუთში დაცულია პირობები.

**-რას ელოდებით, როგორ გამოიყურება თქვენი სამომავლო გეგმები ფიროსმანის სახლმუზეუმთან დაკავშირებით?**

-ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თუ რამე შემორჩენილი არის ადრინდელი ორიგინალები, ეს ბატონი ანზორ მაძღარაშვილის დამსახურებაა, ამას ვერავინ უარყოფს, ბატონი კახა ჯანიაშვილი- ახალი მმართველი, ახალგაზრდა ბიჭია, ძალიან ენერგიული, ძალიან დიდი შემართებით მუშაობს, კარგი პიროვნებაა, კარგი ურთიერთობა გვაქვს, თანამშრომლებთან გაიმართა ვორქ-შოფი (სამუშაო ჩვენება), ბევრი ნამუშევარი შემატა უკვე ფონდებს, გამოფენები იმართება და ხვალაც არის ერთ-ერთი ასეთი დღე. გერმანელები არიან ჩამოსულები და სააქტო დარბაზში ახალი გამოფენა უნდა განხორციელდეს. ყოველ შემთხვევაში დღეის გადასახედიდან პერსპექტიულად ვუყურებ მე ამ მუზეუმის შემდგომ საქმიანობას. გეგმა შემუშავებულია, ეზოს ინფრასტრუქტურა აუცილებლად უნდა გაკეთდეს, როგორც ახალგაზრდა მმართველი, ძალიან არის მოწადინებული. ალბათ მხარდაჭერა ექნება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოდანაც და თანამშრომლებიდანაც, იმისთვის, რომ უკეთესად წარიმართოს ჩვენი პირობები.



**-როგორია უცხოელების თვალით დანახული ფიროსმანი და თვეში რამდენი ვიზიტორი გყავთ?**

-უცხოელები აქ ისე შემოდიან, როგორც სალოცავში, მუხლის ჩოქზე მიდიან თითოეულ ექსპონატთან, თვეში 400-500 ტურისტი, მეტი რუსი შემოვიდა ეხლა, მოდიან რუსები, გერმანელები.

**-თქვენს მიერ დღევანდელი საქართველოს შეფასება როგორია?**

-იბერია აუცილებლად გაბრწყინდება! ეს ნამდვილად ასეა! იმედის თვალით უნდა ვუყუროთ მომავალს, სხვანაირად არ შეიძლება და არც გვაქვს უფლება.

**-რა უნდა გააკეთოს ადამიანმა ცხოვრებაში ყველაზე უმთავრესი.**

-სიკეთე უნდა ვთესოთ, ისეთი სიკეთე, რომ ჩვენს დანატოვარ თაობებს უკან მოხედვისა არ შერცხვეთ. ვფიქრობ, რომ გავზარდე შვილი ისეთი, რომ ვიამაყებ და ქვეყანას ერთ საქმეში მაინც ვადგები, რომ მივდევ ფიროსმანის ნაკვალევს.

**-ბოლოს გკითხავთ, როგორც ხელოვნების დიდ მოყვარულ ადამიანს, ყველას სხვადასხვანაირი ახსნა აქვს, თქვენი აზრით, რა არის ხელოვნება?**

-ხელოვნება ადამიანის უკვდავყოფაა, როგორც ფიროსმანია უკვდავი.

ლალი მეხრიშვილი

# „აქ ჩემი სამი შვილის მომავალს ვქმნი“...



***თითქმის ორი ათეული წელია, საქართველოში მიგრაციის თემას აქტიურად ვაშუქებთ, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული მედიასაშუალებები, მაგრამ ეს პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება. აეროპორტებში ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იყრის თავს, რომელთა დიდი ნაწილიც მომავალი ემიგრანტია. ყველაზე მტკივნეული კი ის გახლავთ, რომ უცხო ქვეყანაში წასული ადამიანები, სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე ქორწინდებიან, იქ გაზრდილ შვილებს კი, სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე ათხოვებენ და აქორწინებენ. ეს უკვე იმდენად სავალალო საკითხია, რომ თუ დროულად არ მიეხედა ამ თემას, რამდენიმე წელიწადში შესაძლოა ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენის საკითხიც დადგეს დღის წესრიგში. სამწუხაროა, რომ ჩვენი რაიონიდანაც სტოვებენ ადამიანები ქვეყანას და თავს საზღვარგარეთ აფარებენ, რომ ახლა უკვე, არა უმუშევარი ადამიანების გადინება დაიწყო, არამედ ინტელიგენციის, თავის პროფესიაში რეალიზებული ადამიანების ...***

რთულია, ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გადაიტანო, წარმოიდგინეთ, ადამიანმა უნდა დატოვოს საყვარელი ქვეყანა, ოჯახი, საკუთარი სახლი... ქართველებისთვის ეს ორმაგად და სამმაგად მძიმედ გადასატანია, რადგან ჩვენში სხვა სისხლი სჩქეფს, ძალიან ბევრ ადამიანს ვერ გადაუტანია წასვლით გამოწვეული ჭრილობის მოშუშება და უკან დაბრუნებულა. ბევრს კი, სხვა გზა არ ჰქონია, შეგუებია და სამუდამოდაც დარჩენილა. ემიგრანტობის ბედზე და ამ რთულ სასაუბრო თემაზე ჩვენთან კონტაქტზე ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა, ბევრსაც გაუჭირდა მტკივნეულ საკითხზე საუბარი. პირველი, ვინც ჩვენს კითხვებს პასუხი გასცა, სურსათის უვნებლობის სამსახურის დედოფლისწყაროს სააგენტოს ყოფილი უფროსი ზაზა ბოსტაშვილი გახლდათ, რომელიც ახლახანს ჩემდა გასაკვირად, დედოფლისწყაროში რომ მეგონა, ამერიკაში ალმოვაჩინე. ზაზამ თავისი წასვლის მიზეზი გულღიად გაგვაცნო და არც ის დამალა, რომ ის აქაურმა გულგატეხილობამ აიძულა წასულიყო.



**-ზაზა, როგორი იყო შენი ბავშვობა?**

-შესანიშნავი ბავშვობა მქონდა, მამა მშრომელი კაცი იყო, პროფესიონალი ვეტერინარი, ალბათ მეც მაგიტომ ვარჩიე ამ სპეციალობას გავყოლოდი.

**-მოგვიყევი შენს განათლებაზე და სამსახურებრივ საქმიანობებზე, შენ საკმაოდ დიდი ხანია დედოფლისწყაროს სურსათის უვნებლობის სამსახურში მუშაობდი, საკმაოდ კარგად ართმევდი თავს, მახსოვს აქტიური იყავი რაიონის თათბირებზე და ხშირად კამათობდი რაიონის საკეთილდღეო საკითხების დროულად და კვალიფიციურად მოგვარების გამო. იგრძნობოდა, რომ გიყვარდა შენი მშობლიური კუთხე, რა მოხდა?**

-დავამთავრე ტექნიკური სასწავლებელი ვეტერინარის სპეციალობით წითელ დიპლომზე, შემდეგ - უმაღლესი, ვმუშაობდი სოფელ წითელწყაროში ვეტ- უბნის გამგედ, შემდეგ რვა წელი ვიმუშავე მთავარ ვეტექიმად. 2006 წლიდან გავიმარჯვე კონკურსში და დავინიშნე სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსად, ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ზეწოლები ვაქცინაციასთან დაკავშირებით ტოტალურ გაყალბებაზე, დედოფლისწყაროს ვეტერინარების გაძარცვაზე, რაზეც წავედი წინააღმდეგი. იძულებით დამაქვეითეს სიმართლის გამო, მოიყვანეს ახმეტელი, ვიღაც დილეტანტი, მერე შეთავსებით დავიწყე მუშაობა დაცული ტერიტორიების სააგენტოში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ რაიონის სურსათის უვნებლობის საქმე წავიდა უკან: გააუქმეს ლაბორატორია, ვეტ- უბნები, ბაზრის ლაბორატორია, ერთი სიტყვით, თბილისში ჩემი წასვლა იწყებოდა ჩხუბით და კამათით. ვდაობდი, რომ ასეთი სისტემით მუშაობა არ შეიძლებოდა და აღედგინათ ყველა სტრუქტურა. მერე მიჩივლეს. ამას ნაციონალების მმართველობის დროს გეუბნებით. მომიდეს საბაბი და ორივე სამსახურიდან გამანთავისუფლეს. დავიწყე ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. იმის წინააღმდეგ, ვინც მიჩივლა. შეიცვალა მთავრობა. ვიფიქრე, ეხლა შევძლებ სამსახურში აღდგენას, მაგრამ აქ უკვე მიმართვა არ მომცეს სოფლის მეურნეობაში. დავრჩი უმუშევარი და წამოვედი ახლობლების დახმარებით ამერიკაში. აქ ვარ. ვშრომობ. დიახ, მე არ ვმალავ, რომ უმუშევრად დარჩენამ განაპირობა ჩემი ემიგრაციაში წასვლა, თუმცა, იქნებ ზოგი ჭირი მარგებელია, იქნებ ასე უკეთესიც იყოს ჩემი შვილებისთვის. აქ ჩემი შვილის გვერდით ვარ და ეს მისთვის დიდი სტიმულია. 16 წელი ჩემი ცოდნა-გამოცდილება არ სჭირდებოდათ, არც მე მაინტერესებს. ახლა ჩემი სამი ბიჭის მომავალს ვქმნი, ისინი იტყვიან თავის სიტყვას, როდესაც საჭირო იქნება.

**-როდესაც დადიხართ სხვა ქვეყნის ქუჩებში, როგორია თქვენი განცდა და ფიქრები?**

-ქართველები ბევრნი ვართ, კარგი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან, ნამდვილად არ ვნანობ, პირიქით. ამ გადასახედიდან იმ პერიოდის საქართველო, რომელიც მე დავტოვე, ჩანს როგორც უსამართლო, გაპარტახებული ქვეყანა, ადამიანი მიწასთან გასწორებულია, აქ ცხოველების უფლება უფრო დაცულია, ვიდრე მანდ ადამიანისა.

**-რამდენად დაფასებულად გრძნობთ თავს უცხოეთში?**

-ხალხი და ქვეყანა ძალიან მაგარია, რა გითხრათ, მეგობრები, ნათესავები, ყველა ერთად ვიკრიბებით და ყოველთვის ვნახულობთ დროს, ცოტა გავერთოთ და უსაქართველობა ვერ ვიგრძნოთ.

**-დაბრუნდებით ?**

-დაბრუნებას, რა თქმა უნდა, ვფიქრობ, მაგრამ არა სამუდამოდ. მე გინდაც დავბრუნდე, ჩემი შვილები, რომლებიც აქ მიიღებენ განათლებას, რომლებსაც საქართველოდან იმედგაცრუებული მამაც აქ ჰყავთ, როგორ ფიქრობთ, მოესურვებათ კი დაბრუნება?!-რა თქმა უნდა, არა, მათ ვერაფერს დავაძალებ, რადგან აქვთ საკუთარი ჩამოყალიბებული აზრები და პასუხებიც მზად აქვთ. აქედან გამომდინარე, ჩემს დაბრუნებას რა აზრი აქვს, როდესაც საქართველომ ჩემი შვილების სახით პოტენციურად სამი შესანიშნავი ახალგაზრდა ადამიანი დაკარგა?!

**ჩვენო ძვირფასო მკითხველო, ამ წერილით დღეს მხოლოდ ზაზაზე არ გვისაუბრია, ეს ტკივილი თითქმის ყველა ემიგრანტს ეხება, ჩვენ რედაქციაში ძალიან ბევრმა ემიგრანტმა მოგვწერა, ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს, ამბობენ, რომ უმუშევრად დარჩნენ და წავიდნენ, მაგრამ, თუ ხვალ საქართველოში სამსახური გამოუჩნდებათ, მეორე დღესვე უკან დაბრუნებაზე იფიქრებენ. იმედს ვიტოვებთ, საქართველოს პატრიარქის სიტყვები მალე ახდება, ჩვენს ქვეყანას ისეთი ნათელი დრო დაუდგება, რომ ქართველ ემიგრანტებს გაუქრებათ ყველა წყენა და მონატრებულ სამშობლოში სიხარულით დაბრუნდებიან.**

ლალი მეხრიშვილი

# ემიგრანტის წერილი

აი, უკვე ათი წელიწადი მიილია, რაც შენს მადლიან მიწაზე ფეხი აღარ დამიდგამს. სიზმარივით მახსოვს შენთან განშორება, თვითმფრინავის ფრთის ქვეშ მცირე ხნით გაელვებული კავკასიონის ჭაღარა შუბლი და ნაფლეთ-ლეგა ღრუბლებს მიღმა ჩაკარგული ჩემი მიწა-წყალი. იმ მერცხალივით გაგიფრინდი, გაზაფხულზე უკან დაბრუნებას რომ იმედოვნებდა...

მას შემდეგ ათმა გაზაფხულმა ააპატარძლა შენი ღვთაებრივი არემარე, მე კი "თბილ" ქვეყანას შემოვრჩი გაცივებული გულით და ცრემლად დაღვრილი მონატრებით. მივადგები ამ უკიდეგანო ზღვის ნაპირს და ჰორიზონტზე ჩადაისებულ მზის სხივებს ვატან შენთან ჯერაც შემორჩენილ სიყვარულის მალამოს მაგ იარებზე სალბუნის დასადებად...

ვეძებთ შენი შვილები ამ უცხო გარემოში საქართველოს, მაგრამ შინ დაკარგულის გარეთ ძებნა ამაოა! უფალივით ერთი ყოფილხარ, ჩემო სამშობლოვ, ვერსად ვიხილეთ შენებრ ლამაზი მხარე ამ ცისქვეშეთში!..

რა გახდა ერთი ნაბიჯის გადმოდგმა შენკენ, რამ მიგვიბორკა ფეხები, რომ ვერა და ვერ გადავწყვიტეთ შენს წიაღში დაბრუნება(?!). აბა რა გითხრა, ზოგი რას ვიმიზეზებთ და ზოგი რას, შედეგად კი "საუცხოო" ტყვეებად ვრჩებით უსამშობლოდ ფრთამოტეხილნი. ან იქნებ მძევლები ვართ, ჩვენივე სისხლისა და ხორცისგან უსულგულოდ გამეტებულნი და მხოლოდ ღვთის წყალობის მოიმედენი...

როგორ ვცხოვრობთ? ვისაც გაგვიმართლა და სამუშაო ვიშოვეთ, სისხამზე ამ კატორღას მივაშურებთ, გვიანობამდე ვწვალობთ და ვჯახირობთ, ეგებ ორიოდე გროშით მეტი შევმატოთ ჩვენს უბადრუკ დანაზოგს. მერე ვბრუნდებით სახლებში ქანცგაწყვეტილნი, ხშირად უჭმელ-უსმელი მივეყრებით თვალის მოსატყუებლად და გათენებისას ისევ ვუბრუნდებით ამ მონოტონურ ყოფას. თვის ბოლოს მათხოვრულ გასამრჯელოს გვაძლევენ, ხელის კანკალით მივაწებებთ გროშზე გროშს, ათასჯერ გადავთვლით და გადავაწყობთ აქეთ-იქით, ეს ჩვენს ოჯახებსო, ეს - მევალეებსო, ეს - ბინის ქირაო... და ერთხელაც ვერ გადავდეთ ეს გასამრჯელო უკან დასაბრუნებელი ბილეთის შესაძენად!..

მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, იმ დღეს ერთ ქართველს მოხუცი დედა გარდაეცვალა საქართველოში, მეორეს - ძმა, მესამეს - მეუღლე... აქ იყო ტირილიც, გლოვაც და აღაპქელეხიც, მაგრამ ის უკან გასამგზავრებელი ბილეთი მაინც აულებელი დარჩა. გაგიგონიათ ამაზე მეტი უბედურება? ადამიანმა ვერ დაიტიროს საკუთარი სისხლი და ხორცი, ვერ დააყაროს გაცივებულ მკერდზე ალალი ცრემლი გამზრდელ დედას, რომელსაც შვილის გზას მიჩერებულს ამაოდ ამოულამდა თვალები; ვერ დაიტირო მეუღლე - თანამეცხედრე, შენი სიყვარულის და ჭირ-ვარამის პირველი მოზიარე...

ყველა ქართველი უნდა დავაბრუნოთო, - ასე შეგვპირდნენ ხელისუფალნი... რომ დაბრუნდნენ, რას ჰპირდებით, რით დაზარდონ შვილები, რითი გამოკვებონ და ასაზრდოონ?..

ბევრს დასაბრუნებელი ჭერიც აღარ აქვს, გაყიდეს და დააგირავეს სახლ-კარი "გამარტივებული" ვიზებისთვის ათასობით დოლარის გადასახდელად. ბევრი დღესაც ამ კაბალურ პროცენტებს იხდის გაუმაძღარი მევახშეების მუცლების ამოსაყორად და არც იციან, კიდევ რამდენი წლის ჯაფა დასჭირდებათ ვალების გასასტუმრებლად.

სულ მცირე იმედი მაინც რომ ბჟუტავდეს, რომ თუნდაც აქ მიღებული გასამრჯელოს მეოთხედს მაინც იშოვიდნენ საქართველოში, დიდი ხანია უმრავლესობა მანდ იქნებოდა. ყველამ ვიცით, რომ ტელევიზიით მოსმენილი წარმატებული ქართული ეკონომიკა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ლიდერობა ისე განსხვავდება სინამდვილისგან, როგორც ცა და დედამიწა. მანდ ხელისუფლების თვალით იზომება უზრუნველი ყოფის კრიტერიუმი, აქ კი ჩვენი დაწყვეტილი მკლავებითა და გაურკვეველი მომავლის შიშით.

შენ არ გემდურებით, ჩემო სამშობლოვ! პირიქით, შენ აქეთ გაქვს სასაყვედურო და სამდურავი ჩვენთან, რომ ასე სულთმობრძავი მიგატოვეთ, გაგექეცით და ჩვენი ძალა და ენერგია უცხოთა საქმეს გადავაყოლეთ. გვაპატიე და შეგვინდე ეს გაუცხოება...

მაგრამ გული არ გაგვციებია, მამულო, შენთვის მფეთქავი გული! შენი დარდი და სევდა სანთელივით გვადნობს და თუ რამე გვაძლებინებს, ისევ შენს მიწაზე ფეხის დაბიჯების ნატვრა-იმედი. მხოლოდ ჩვენი ცრემლით დასველებული სასთუმალია ამ სიყვარულის უტყვი მესაიდუმლე და კუთხეში სასოებით დაბრძანებული, ნუგეშით მზირალი ხატები... ჩვენ ტყვეები ვართ, "საუცხოო" ტყვეები, მაინც საქართველოს სიყვარულით ბორკილდადებულნი.

დავით ებრალიძე

# გოგონა, რომელიც სამყაროს ორჯერ მოევლინა - მედიცინის მორიგი სასწაული

ტეხასისის შტატში, ქალაქ ლუისვილში ექიმებმა განსაკუთრებული ოპერაცია ჩაატარეს. მათ დედის მუცლიდან ნაყოფი 20 წუთის განმავლობაში ამოიყვანეს და ოპერაციის შემდეგ, ისევ დედის მუცელში დააბრუნეს. გოგონას დედამ, მარგარეთ ჰოკინს ბემერი ორსულობის მე-16 კვირაზე გაიგო, რომ ნაყოფს სერიოზული პრობლემა ჰქონდა. როგორც აღმოჩნდა, ბავშვს ხერხემალზე, კონკრეტულად კი კუდუსუნზე სიმსივნური გამონაზარდი - კუდუსუნის ტერატომა აღმოაჩნდა. დაავადება ბავშვს არ აძლევდა საშუალებას საკმარისი რაოდენობის სისხლი და საკვები ნივთიერებები მიეღო. ამ ყველაფერს კი გულის გაჩერებაც შეეძლო.

ბემერი ტყუპებზე იყო ორსულად, თუმცა პირველ ტრიმესტრში მეორე ბავშვი დაკარგა. ხოლო როცა ლინლის კუდუსუნის ტერატომის ამბავი გაიგო, ექიმები ორსულობის შეწყვეტას ურჩევდნენ. ტეხასის საავადმყოფოში კი ერთ-ერთმა მეანმა მას რთული ოპერაციის ჩატარება შესთავაზა. ამ ოპერაციით ბავშვისთვის გამონაზარდი უნდა ამოეკვეთათ. მაშინ, როცა ქირურგმა ლინლი დედის მუცლიდან ამოიყვანა, ის სულ რაღაც 530 გრამს იწონიდა, დაახლოებით იმდენივეს, რამდენსაც სიმსივნური გამონაზარდი.

4 თვის ლინლი დედასთან და დებთან ერთად

„23-ე კვირის ორსული რომ ვიყავი, გამონაზარდი ბავშვის გულს მუშაობაში ხელს უშლიდა. შეიძლება ინფაქტიც დამართნოდა. ამიტომ საკითხი იდგა შემდეგნაირად, ან გადავლახავდით ამ სიტუაციას და გავიკეთებდით ოპერაციას, ან ბავშვი დაიღუპებოდა. ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო: ბავშვს სიცოცხლის შანსი მივეცი", - განაცხადა მაგრაგეთმა

### „გული გაჩერდა"

ტეხასის სამეანო ცენტრის ექიმი დარენ კასი ერთ-ერთი იმ ექიმთაგანი გახლდათ, ვინც ამ რთულ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. მისი განცხადებით, ექიმები იძულებულები გახდნენ ორსულის მუცელი გაეჭრათ, ბავშვი დედის საშვილოსნოდან მთლიანად ამოეყვანათ და გამონაზარდი სწრაფად მოეკვეთათ.

კითხვაზე, იყო თუ არა შესაძლებელი სიმსივნის ამოკვეთა საშვილოსნოდან, ექიმმა ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტს უთხრა, რომ ბავშვი საშვილოსნოდან ამოიყვანეს, თუმცა ის დედის ორგანიზმთან პლაცენტით და ჭიპლარით ისევ იყო დაკავშირებული.

„ამ დროს ნაყოფს გულის უკმარისობა აწუხებდა, ამიტომ აუცილებელი იყო ოპერაციას კარდიოლოგიც დასწრებოდა, ის ბავშვის გულის მუშაობას აკვირდებოდა. ოპერაციისას აუცილებელი გახდა გულის ოპერაციის ჩატარებაც, რაც

ბავშვმა სასწაულებრივად გადალახა, ამის შემდეგ, ბავშვი დედის ორგანიზმში დავაბრუნეთ და საშვილოსნოს გაკერვაც მოვახერხეთ", - განაცხადა ექიმმა.

როგორც ცნობილია, მსგავსი ოპერაცია მსოფლიოს კიდევ ორ სხვადასხვა კლინიკაში ჩატარდა. ექიმი კასის თქმით, ორსულობის დროს სხვადასხვა პრობლემის გამო ბავშის დაღუპვის შემთხვევები ძალიან ხშირია, თუმცა ლინლის შემთხვევაში, გოგონა ოპერაციიდან 12-კვირიანი ორსულობის შემდეგ დაიბადა.

გოგონა, რომელსაც ლინლი ბებიების საპატივცემულოდ დაარქვეს, 2 კგ და 340 გრ დაიბადა. ის საკეისრო კვეთით 6 ივნისს სამყაროს მეორედ მოევლინა. 8 დღის ბავშვს მეორე ოპერაცია



გაუკეთეს, რათა დარჩენილი სიმსივნური გამონაზარდი კუდუსუნიდან ბოლომდე ამოეკვეთათ. დღეს ბავშვი მშობლებთან და დებთან ერთად სახლშია, ის სრულიად ჯანმრთელია.

როგორც ექიმმა კასმა განაცხადა, კუდუსუნის ტერატომა ძალიან იშვიათი დაავადებაა, ის 30-70 ათასი ბავშვიდან შეიძლება ერთს აღმოაჩნდეს, და დაავადება ახალშობილ გოგონებში უფრო ხშირია, თუმცა საიდან ჩნდება კუდუსუნზე სიმსივნური გამონაზარდი ექიმებმა ჯერ ვერ დაადგინეს

---

**ხსოვნა**

## ელიოზ ყველაშვილი



ჩემო ელიოზ, მიიწურა ამქვეყნიდან შენი წასვლით გამოწვეული ტკივილიანი და ცრემლიანი 8 თვე, რამაც მე და შენ ერთმანეთს დაგვაშორა. წახვედი და დამიტოვე მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება. დრო ვერ განკურნავს იმას, რასაც უშენობა ჰქვია. მინდა მჯეროდეს, რომ მაგ სამარადისო ქვეყანაში კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და მანდ გავაგრძელებთ ცხოვრებას, რასაც ჩვენი სიყვარული ჰქვია. მწარედ მოსაგონებელი დამრჩა ტკბილად გატარებული ცხოვრება.

ენატრები შენს მაკას, მარიამს, სულ გიგონებენ – მამამ ასე იცოდა, პაპამ ასე თქვაო. მაკას ისე ენატრები, სულ ტირის. მარიამი სტუდენტია, მან ნატვრა შეგისრულა, მაგრამ შენ ველარ მოესწარ ამას.

იძინე მშვიდად, ჩემო ელიოზ, შენ ხომ ყველა მანდ გყავს, მშობლები, და-ძმები. უფალმა ნათელში გამყოფოთ ყველა, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია.

**მეუღლე** ეთერ ჩოქური-ყველაშვილი

**შვილი** მაკა; **შვილიშვილი** მარიამ მაზმანოვი.

---

**მონატრება**

## ზურაბ გომელაური



რა რთული რამ არის ახლობელი ადამიანის დაკარგვა, ყველამ იცის ეს, მაგრამ თუ ადამიანი საკუთარ თავზე არ გამოსცდის, ძნელად მიხვდება.

ძალიან ბევრი ახლობელი ადამიანი დავკარგე, მაგრამ ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ შენი ამქვეყნად არყოფნა შესაძლებელი იყო. იმიტომ, რომ შენ იყავი სიცოცხლე და სიკეთე.

ამაყობდი შენი სახელით და გვარით, ზურიკო გომელაურო, ჩემო იმედო, მართლაც გქონდა საამაყო.

50 წლის იუბილე გადაიხადე, თითქოს ყველას გამოემშვიდობე, ალბათ, გრძნობდი ყოველივეს.შენ ხომ ყველაზე ზრუნავდი,შენს ოჯახზე, ახლობლებზე, მეზობლებზე, მეგობრებზე, აკეთებდი სიკეთეს ისე, რომ არავისგან არაფერს ითხოვდი, ამიტომაც წაგიყვანა უფალმა თავისთან, მასაც ხომ რჩეულები უყვარს.

შემოდგომა ყოველთვის სევდიანია, მაგრამ ჩვენი ოჯახებისთვის განსაკუთრებით - 2 ნოემბერი ყველაზე თავზარდამცემი დღეა:

სულ რაღაც სამიოდე თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ შენ დატოვე წუთისოფელი, რომელიც, მართლაც, წუთი აღმოჩნდა შენთვის. წინ კიდევ რამდენი გეგმა გქონდა, რამდენი სიხარული გელოდა.. ძალიან ადრე იყო შენი სიკვდილი, ჩემო ძვირფასო.

გვენატრები ყველასშენს შვილებს, მეუღლეს, მოხუც მამას, დას, ბიძას და დეიდას.

შენ იყავი განუმეორებელი ადამიანი და შენი სახელი ყოველთვის უკვდავი იქნება, შენი შვილები ყოველთვის იამაყებენ შენით. ყველას მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე გულში.

**შენთვის მლოცველი**
**შენი დეიდა** - მარიკა ქუფრაშვილი.

---

## მერაბ ჩოქური



დაბადების დღეს გილოცავ, მერაბ! 26 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს სიხარულით ვხვდებოდით ხოლმე, დღეს კი როგორი მწარეა ჩვენთვის ამის გახსენება, რა მწარე ყოფილა წუთისოფელი, იმის გაცნობიერებაც კი არ მინდა, რომ დღეს ჩვენ გვერდით აღარა ხარ. შენ ის ტკივილი ხარ, რომელიც არასოდეს დაგვავიწყდება. შენი ღიმილი, შენი იუმორი, შენს გვერდით არასოდეს მოიწყენდა ადამიანი, ვიხსენებ ამ ყველაფერს და მეტირება, ცრემლის მეტი არაფერი დაგვიტოვე, ჩემო მერაბ. დატოვე შენი საყვარელი დები – შენი ქეთინო და მერი. ძალიან მწარე ყოფილა დისთვის ძმის სიკვდილი. სიწყნარეა შენს ოჯახში, უშენობას განიცდიან, ნათელა ისევ გელოდება, ასე მგონია, სადმე არის წასული და მოვაო, დაეტყო უშენობა ნათელას. უფალს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

**შენი მამიდა** ეთერ ჩოქური,
**მამიდაშვილი** მაკა ყველაშვილი

---

## ლია ტარყაშვილი-ქუფარაშვილი



ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენი ოჯახი დატოვე. გაუსაძლისი წლებია უშენოდ.

ამბობდი, შემოდგომას უბედურება მოაქვს ჩვენი ოჯახებისთვისო და მართალიც აღმოჩნდი საუბედუროდ.

2 ნოემბერი ხომ საერთოდ შემზარავია ჩვენთვის. მძიმე, მაგრამ ძალიან ხამოკლე ავადმყოფობის შემდეგ მიგვატოვე და დაგვიტოვე ტკივილი და მონატრება.

19 წლისამ შემოდგი ფეხი ჩვენს ოჯახში და 45 წელი ერთგულად ემსახურე მას.

სამი შვილი აღზარდე. მიეცი ყველას განათლება, დააოჯახე და ახლა შენი შვილიშვილები ზოგი უკვე სტუდენტია, ზოგიც სკოლის მოსწავლე. ყველანი წარმატებულები არიან, როგორზეც ოცნებობდი.

მოდიან ზაფხულობით შენს ნალოლიავებ სახლკარში და სიყვარულით გიხსენებენ, თუ როგორ თავდაუზოგავად ემსახურებოდი მათ.

შენ ჩემი ძმისცოლი იყავი, მაგრამ ჩვენ ერთი დედმამისშვილებივით ვიყავით. არ გვანსხვავებდი საკუთარი და-ძმისაგან.

შენ გამოიჩინე თავი შენი კარგი ქალობით. იყავი მზრუნველი დედა და ბებია, ერთგული მეუღლე, კარგი რძალი და საუკეთესო დიასახლისი.

შენი სახელი ყოველთვის უკვდავი იქნება ჩვენს გულებში. ძალიან მენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**შენი მული**
მარიკა ქუფარაშვილი

# „დედა ენის“ მშობელი

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორიდან 12-13 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. გოგებაშვილებს მრავალშვილიანი ოჯახი ჰქონდათ: მამა - სიმონი, სოფელ ვარიანის მღვდელი, დედა - მაგდანა, კალმახელიძის ქალი, ექვსი ძმა და ორი და. სიმონს სურდა, შვილებიც სასულიერო პირები გამოსულიყვნენ, იაკობი კი დედასაც და მამასაც ბერად წარმოედგინათ. 8 წლის იყო, ქალაქ გორის სასულიერო სასწავლებელში მისაბარებლად რომ ჩაიყვანეს, მაგრამ უფროსმა ძმამ, ივანემ, მცირეწლოვანებისა და სუსტი აგებულების გამო, გორში აღარ დატოვა და ერთი წლის შემდეგ პირდაპირ თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა. მართალია, იაკობი ძალიან სუსტი ბავშვი იყო, მაგრამ მეტად ჭკვიანი, გამჭრიახი და მკვირცხლი გონება ჰქონდა. უამრავ ლოცვას, ლექსსა და საგალობელს ადვილად ითვისებდა. თანატოლებს გამორჩეულად უყვარდათ, რადგან ყოველთვის ნაირ-ნაირ მოთხრობასა და ლექსს უყვებოდა. იაკობს მამისგან სიმღერის ნიჭიც გამოჰყვა. ის, თურმე, დიდ დროს ატარებდა ბუნებაში და საათობით აკვირდებოდა ყვავილებს, ცხოველებს, მდინარის თევზებს. უეჭველად ბუნებასთან განსაკუთრებული სიახლოვის გამოძახილია იაკობ გოგებაშვილის "ბუნების კარი"...

1855 წელს იაკობმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსი და თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. სემინარიაში სწავლისას განსაკუთრებით საქართველოს ისტორიამ და ლიტერატურამ დააინტერესა, ასევე, კითხულობდა და სწავლობდა კლასგარეშე ლიტერატურას. მამისა და სემინარიის ოფიციალური რეჟიმის შთაგონებით ერთხანს საეკლესიო სამსახურისთვისაც ემზადებოდა - საეკლესიო ისტორიისა და საღვთისმეტყველო წიგნებს კითხულობდა, მაგრამ სამეცნიერო განათლების მიღების შემდეგ სასულიერო კარიერაზე უარი თქვა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე დაიწყო ოცნება. 1861 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, უმაღლესი განათლების მისაღებად კიევის სასულიერო აკადემიაში გაემგზავრა. ის წარჩინებული სტუდენტი გახლდათ და აკადემიაში სახელმწიფოს ხარჯზე სწავლობდა. რადგან აკადემიის პროფესორებს შორის გამოჩენილი მეცნიერები არ იყვნენ, ოფიციალური დისციპლინების სწავლასა და იმ პროფესორთა ლექციების მოსმენას კიევის უნივერსიტეტის გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებზე სიარული ამჯობინა. იმ

წლებში გაეცნო დარვინს, ჰუმბოლტს, ბოკლს, კონტს, სპენსერს, შლოსერს. კითხულობდა კანტს, ჰეგელს, ფიხტეს, რუსეთის გამოჩენილი მეცნიერების - ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ჰერცენის, პისარევისა და სხვათა თხზულებებს. მაგრამ კიევის ჰავამ ისედაც სუსტი ჯანმრთელობის იაკობზე კიდევ უფრო ცუდად იმოქმედა და იგი ტუბერკულოზით დაავადდა. ექიმის დაჟინებული მოთხოვნით, იაკობი იძულებული გახდა, მესამე კურსი მიეტოვებინა და 1863 წელს სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1864 წელს გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა. იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და ყველაფერი ქართული იდევნებოდა. სკოლებში ქართული ენის ხსენებასაც კი კრძალავდნენ, არისტოკრატიას ქართულად დალაპარაკების რცხვენოდა, ინტელიგენცია რუსულად აზროვნებდა. იმხანად ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას ვინ ჩიოდა. სკოლაში მკაცრი და უსამართლო წესები ჰქონდათ: მოსწავლეებს წკეპლით სცემდნენ და მუხლებზე აყენებდნენ.

იაკობ გოგებაშვილი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ და სასწავლებელშიც მაშინვე შეუდგა ძველი ჩვევების აღმოფხვრას: სემინარიის გამგეობას სწავლის პროცესის მთლიანად გარდაქმნის პროექტიც წარუდგინა და სრულიად გააუქმა დასჯა.

1865 წელს გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის "ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის", შემდეგ - "ბუნების კარი" (1868), "დარიგება მოსწავლეთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში" (1872), "დედა ენა" (1876). "დედა ენა" გოგებაშვილის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა, გარდაცვალების შემდეგ - 25-ჯერ. "დედა ენას" "ვეფხისტყაოსნის" ბადალი უწოდეს, რადგან ხალხისთვის ყველაზე საყვარელი და პოპულარული წიგნი გახდა. გოგებაშვილის წიგნები ათიათასობით ვრცელდებოდა. ყოველწლიურად 20-25 ათასი "დედა ენა" და 5-6 ათასი "ბუნების კარი" იყიდებოდა. ამ წიგნებმა დაუდო საფუძველი განათლების ფართოდ გავრცელებას. გოგებაშვილის პროგრესულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სინოდისა და მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია. უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის რწმუნებულმა კერსკიმ სასწავლებლის რევიზია მოახდინა. ამ პერიოდში იაკობი ავად იყო (ფილტვებიდან სისხლს აღებინებდა) და ამიტომ სასწავლებელში ვერ გამოცხადდა. ამით ისარგებლა სემინარიის ადმინისტრაციამ და კერსკის საიდუმლო მოხსენებაში დააწერინა, თითქოს იაკობ გოგებაშვილი თავის ბინაში აწყობდა ახალგაზრდობის ფარულ შეკრებებს, ბავშვებს აკითხებდა "უარყოფითი მიმართულების წიგნებს" და უნერგავდა ანტირელიგიურ შეხედულებებს. ეგ კი არა, შავრაზმელებს მისთვის სასწავლებლის თანხების გაფლანგვაც კი უნდოდათ დაებრალებინათ. საბოლოოდ, კერსკის რევიზიამ გაჭრა: ის "საზოგადოებრივი სამსახურისთვის არაკეთილსაიმედო პირად გამოაცხადეს და 1874 წელს სასწავლებლიდან ისე გააძევეს, თავის მართლების საშუალებაც არ მისცეს. მოხსნისთანავე ჩამოართვეს სახელმწიფო ბინაც. რამდენიმედღიანი მღელვარებისა და ნერვიულობის შემდეგ იაკობმა სულიერი წონასწორობა დაკარგა და... ერთ დღეს ავადმყოფობისგან დაუძლურებული ძლივს წამოდგა ლოგინიდან, ვერის დაღმართი ჩაიარა, მტკვრის ნაპირს მიადგა, უკანასკნელად შეხედა მშობლიურ თბილისს, ტალღებში შევიდა და... "რა იყო ეს - თვითმკვლელობის მცდელობა თუ იაკობის მკვლელობის მცდელობა?" - ამ საკითხს საფუძვლიანი კვლევა მიუძღვნა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარემ, პროფესორმა გოგი გოგოლაშვილმა და არგუმენტებიც საფუძვლიანი მოიტანა თვითმკვლელობის მცდელობის ვერსიის უარსაყოფად. სამწუხაროდ, ჩვენს პატარა პუბლიკაციაში ამ არგუმენტებზე დაწვრილებით ვერ გიამბობთ, მხოლოდ მოვიყვანთ ეპიზოდს ბატონი გოგის კვლევიდან: "ეს ფაქტი თვითმკვლელობის მცდელობად აღიქვეს ჩვენმა თანამედროვე ავტორებმა (ვ. გაგუა, "იაკობ გოგებაშვილი", 1960 წ. და სხვა). ამ ფაქტს, სანდრო ცხვედაძის (XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე პედაგოგისა და პუბლიცისტის, ნიკო ცხვედაძის ძმა. - ავტ.) მონაყოლს, ასე გადმოგვცემს ნიკო ლომოური: "შუა დღე იქნებოდა მოტანებული, როცა მე რაღაც საქმისთვის ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი ძირსაო. მარცხენა ნაპირიდან ვიღაც კაცი მოადგა მტკვარსა და ისე, გაუხდელი, შევიდა წყალშიო. შუა ადგილს წყალმა წააქცია და რამდენსამე წამს სრულიად დამალა, მერე კვალად გამოჩნდა. იწყო ბრძოლა ტალღებთან და ნაპირს დაუახლოვდაო. მაშინათვე მივეშველე მეც და, როდესაც სახეზე შევხედე, მეტის მწუხარებითა და გაოცებისაგან კინაღამ გული შემიწუხდაო: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გავუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩავაცვი და წამოვიყვანე, მერე მე და ნიკომ მიხეილის საავადმყოფოში წავიყვანეთ და იქ დავაწვინეთ" (ნ. ლომოური, 1991, გვ. 331)... იაკობი იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და მისგან ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც "თვითმკვლელობის მცდელობად" შეიძლება აღქმულიყო, ყოვლად დაუჯერებელია... ბოლოს ის უნდა ვთქვათ, რომ "მტკვრის ეპიზოდის" შეფასებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო - ჩრდილი არ მიადგეს დიდი ქართველი მოღვაწის წმინდა სახელს".

იაკობ გოგებაშვილმა ერთი თვე მიხეილის საავადმყოფოში გაატარა, ცოტა რომ მოკეთდა და დამშვიდდა, უბინაოდ დარჩენილი დროებით მისმა გულითადმა მეგობარმა, ნიკო ცხვედაძემ შეიფარა. მოგვიანებით, ხელმოკლეობის გამო, 3 მანეთად ერთი პატარა ოთახი დაიქირავა ვერაზე, "კალიუჩი ბალკას" უბანში და იქ გადასახლდა. გადაწყვიტა, არასდროს დაჰბრუნებოდა სახელმწიფო სამსახურს, დაწვა ყველა ოფიციალური საბუთი, სემინარიის ატესტატი, აკადემიაში სწავლის მოწმობა და დაიფიცა, ამიერიდან მთელ ჩემს სიცოცხლეს, ძალასა და ღონეს ჩემს ქვეყანას მოვახმარო. ამის შემდეგ სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა. უსამსახუროდ, უბინაოდ, უფულოდ მრავალი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ მიზნისათვის არ უღალატია.

იაკობ გოგებაშვილი თავისი წიგნების შემოსავლით დიდ დახმარებას უწევდა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". ერთხელ მთელი მიღებული თანხა - ცამეტი ათასი მანეთი მთლიანად გადასცა საზოგადოებას და თავისთვის არაფერი დაიტოვა. იაკობის თანამედროვეები ამბობდნენ, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" მისი მეორე ოჯახი იყოო. საკუთარი ოჯახი კი იაკობს არ ჰყავდა. მან თავი მთლიანად თავის ქვეყანას მიუძღვნა. არ ყოფილა არც ერთი ეროვნული საქმე - ზეპირსიტყვიერების შეგროვება, საბავშვო ჟურნალების გამოცემა, ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანა, სასოფლო-სამეურნეო სკოლის, ბიბლიოთეკების დაარსება, იაკობს სიტყვით თუ ფულით აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღო. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ წიგნით ვერ შეძლებდა ერის განათლებას. იგი საქართველოში სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისთვის იბრძოდა, იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით. იაკობი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის. ის მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, ბევრ მათგანს თვითონ უხდიდა სწავლის ფულს. სისტემატურად უგზავნიდა ფულს რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს. ბევრმა მისი შუამდგომლობით სტიპენდია მიიღო, მათ შორის - შემდგომში გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორებმა: ზაქარია ფალიაშვილმა და დიმიტრი არაყიშვილმა. ამ დროს კი თვითონ საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა, ყოფილა დრო, როცა ბინის ქირის გადასახადიც ვერ გადაუხდია და მეგობრებს შეუფარებიათ.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებასა და საქმიანობას.

გოგებაშვილს კალამიც კარგად უჭრიდა. ვისაც ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის ღალატს შეატყობდა, მეხივით დაატყდებოდა თავს. საოცარი გაშმაგებით ებრძოდა იანოვსკის - ქართველთა დაუძინებელ მტერს, აშორდიებსა და მისთანებს, რუსების ჩაგონებით სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნა რომ მოინდომეს. თვითონ ხომ პასუხს გასცემდა, ილიასაც შეუძახებდა, თურმე: გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, კარს საფრთხე მოგვდგომიაო! რუსული ბიუროკრატიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლებს - ილიას, აკაკისა თუ გოგებაშვილს სიტყვა არ დასცდენიათ რუსული კულტურისა და ენის სწავლების საწინააღმდეგოდ. პირიქით, იაკობმა 1887 წელს შეადგინა "რუსსკოე სლოვო", რომელიც დიდხანს ემსახურებოდა ქართველ ახალგაზრდებს...

1912 წლის 12 აპრილს იაკობ გოგებაშვილი მძიმედ გახდა ავად. თბილისის საუკეთესო ექიმები მკურნალობდნენ, გარს მოწინავე ქართველი საზოგადოება და ნათესაობა ეხვია, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. გასაოცარი დამთხვევაა: ბავშვების მოამაგე იაკობ გოგებაშვილი დღეს ბავშვთა დაცვის დღედ ქცეულ 1-ელ ივნისს, საღამოს 6 საათზე გარდაიცვალა, სიკვდილის წინ კი თავისი შეუფასებელი მემკვიდრეობა მთლიანად ქართველ ხალხს უანდერძა:

300 თუმანი განსვენებულმა თავის დასაფლავებისა და ძეგლის დასადგმელი ხარჯების დასაფარავად გადადო. დანარჩენი თანხა - ფასიანი ბილეთების თითო ბილეთი უანდერძა "წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", სალიტერატურო ფონდს, ქართულ დრამატულ საზოგადოებას, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას, ჟურნალ "განათლებასა" და სახალხო უნივერსიტეტს. წიგნები და სახელმძღვანელოები 9.000 მანეთი წლიური შემოსავლით და ვერაზე საკუთრებაში არსებული 280 კვ. საჟენი მიწა "წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" უანდერძა.

სახელმძღვანელოებისა და წიგნების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით "წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში უნდა დაეარსებინა სანიმუშო სახალხო სკოლა, ამავე შემოსავლებით ყოველწლიური დახმარება 120-120 მანეთის ოდენობით უნდა გაეწია ეკატერინე გაბაშვილის ქალთა პროფესიონალური სასწავლებლისთვის, განათლების საზოგადოებისთვის და ქართული საბავშვო ბაღისთვის, არანაკლებ 300 მანეთის ოდენობით - ჟურნალ "განათლებისთვის", აკაკი წერეთელს უნდა მისცემოდა ათ-ათი თუმანი ჰონორარად იმ ლექსებისთვის, რომლებიც შესული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში.

გაყიდული წიგნებიდან უნდა გადადებულიყო არანაკლებ ერთი კაპიკისა განათლების ფონდის დასაარსებლად. ამ ფონდიდან უნდა დაენიშნათ სტიპენდიები სახალხო მასწავლებლების, გლეხებისა და მუშების შვილებისთვის.

სალიტერატურო ფონდს უნდა მოხმარებოდა, აგრეთვე, ვერაზე მდებარე მიწის ნაკვეთის გაყიდვით მიღებული თანხაც. იაკობ გოგებაშვილს უყურადღებოდ არ დაუტოვებია მისი წიგნების ასოთამწყობი ლადო კალანდაძე, წიგნის მაღაზიის გამგე ივანე ავალიშვილი და "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ბუღალტერი ვასო ელიაშვილი, რომელთაც ანდერძით დაუტოვა ას-ასი მანეთი...

P.S. "როდესაც იაკობი დაასაფლავეს და მისი ქონების განაწილებაზე მიდგა საქმე მის ნათესავთა და მეგობართა შორის, კუთხეში იდგა ცრემლმორეული ლუარსაბ ბოცვაძე (პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. - ავტ.). როდესაც ჰკითხეს, შენ რაღას წაიღებო, ის შეირხა, თვალი მიაშტერა კუთხეში მიგდებულ ჯოხს, რომელზეც არავინ არა სდავობდა და წყნარად სთქვა: მე კიდევ აგერ ეს ჯოხი მომეცით სახსოვრადო"... (ი. გოგებაშვილის ძმისშვილის, შალვა გოგებაშვილის მოგონებიდან).


## ულოცავენ!

### ქეთევან ჯაგაშვილს!

ჩემო ძვირფასო, ლამაზო დედიკო, გილოცავ 60 წლის იუბილეს. ჩემთვის ყველაზე კეთილი და საუკეთესო ადამიანი ხარ, დედა. უბედნიერესი ვარ შენი არსებობით! გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ღვთის წყალობას. მიყვარხარ და მეამაყები!

**შენი შვილი** თამარ ჯაგაშვილი.



## ყურადღება!

იყიდება ან ქირავდება კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინა ავეჯით და ავეჯის გარეშეც.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №44; მე-5 სართული; ბინა 13.

ფასი შეთანხმებით.

☎ 514018014;


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 31.10 | | სამშაბათი 01.11 | | ოთხშაბათი 02.11 | | ხუთშაბათი 03.11 | | პარასკევი 04.11 | | შაბათი 05.11 | | კვირა 06.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 5° | 4° | 4° | 3° | 3° | 1° | 3° | 2° | 6° | 5° | 8° | 6° | 10° | 9° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.